

**მერაბ თხელიძე**

**64 წელი**

**ჭადრაკის სამყაროში**



**რჩეული პარტიები**

**თბილისი  
2018**

# მერაბ თხელიძე

*ვუძღვნი ჩემი მასწავლებლების  
ვახტანგ ქარსელაძისა  
და ვიქტორ გოგლიძის  
ნათელ ხსოვნას*

## რჩეული პარტიები

1953-2017

თბილისი  
2018

UDC (უკ) 794.12  
თ - 952

თქვენს წინაშეა საოცარი წიგნი მერაბ თხელიძისა, ფიზ.მათ. მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ეროვნული ოსტატის ჭადრაკში, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჭადრაკის მიმართულების ხელმძღვანელის. მან თავისი საჭადრაკო ცხოვრება დაიწყო 1953 წლიდან საქართველოს ჩემპიონატით მოსწავლეთა შორის, შემდეგ იყო თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატები მამაკაცთა შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპიონატები, მეცნიერებათა აკადემიის ჩემპიონატები, საერთაშორისო შეჯიბრებები, მსოფლიო მეორე ჩემპიონატი მოყვარულთა შორის და მსოფლიო ჩემპიონატები სენიორებს შორის.

ეს წიგნი ფაქტიურად მის მძიმე, ყველანაირად შევიწროვებულ, მაგრამ შემოქმედებით და ოპტიმიზმით აღსავსე ცხოვრებაზე მოგვითხრობს ჭადრაკის პარტიების დახმარებით, მისი პარტიებით ისეთ ბუმბერაზ მოჭადრაკეებთან, როგორებიცაა მიხეილ ბოტვინიკი, მიხეილ ტალი, ბორის სპასკი, დავით ბრონშტეინი, ქართველი და უცხოელი ოსტატები და დიდოსტატები. ამ პარტიებში პირდაპირ კომბინაციების კასკადია, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა მისი უჩვეულო კომენტარებიც, რომლებსაც ვერ მოსწყვეტს თვალს ვერც ადამიანი, რომელიც ჭადრაკს თამაშობს და ვერც ადამიანი, ვინც ჭადრაკს არ თამაშობს. ავტორი თვლის, რომ ეს პარტიები მან უპირველეს ყოვლისა მიუძღვნა თავის მასწავლებლებს ვახტანგ ქარსელაძეს, ვიქტორ გოგლიძეს და ახალგაზრდა მოჭადრაკეებს.

რედაქტორი **ჰამლეტ მელაქი**, ფიზ.-მათ.  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ექსპერტ-რეცენზენტი **დავით ჯანოევი**, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

კომპიუტერული უზრუნველყოფა და კონსულტაცია **ამირან ჭანტურია**

ISBN 978-9941-8-0386-4 (PDF)

**MERAB TKHELIDZE**

**64 YEARS**  
**in the world of chess**



**The Best Chess Parties**

Tbilisi

2018

# **MERAB TKHELIDZE**

This is dedicated to the memory of  
my teachers

**Vakhtang Karseladze  
and Viktor Goglidze**

## **The Best Chess Parties 1953-2017**

Tbilisi  
2018

UDC (უკ) 794.12

თ - 952

Explore the amazing book of Merab Tkhelidze- the Doctor of Physical and Mathematical Sciences, Professor, National Chess Master, Head of Chess direction at the State Education University of Physical Culture and Sports of Georgia. He started his chess career in 1953 by the championship of Georgia among the children, then Tbilisi and Georgia Championships among the men, the championships of Tbilisi State University, the championships of the Academy of Science, International Tournaments, the Second World Championship of among the amateurs, and World Championships among the seniors.

This book actually tells us about his hard, oppressed life, which was full of creativity and optimism by means of chess parties, the parties with such giant chess players as: Mikheil Botvinnik, Mikhail Tal, Boris Spassky, David Bronstein, Georgian and foreign masters and grandmasters. These parties are cascades of direct combinations. But not less interesting is his unusual comments, that can be avoided neither a person playing the chess, nor the person who does not play it. The author thinks that he dedicated these parties to his teachers- Vakhtang Karseladze, Viktor Goglidze and young chess players.

Editor: **HAMLET MELADZE,**

Doctor of Physical and Mathematical Sciences, Professor

Expert Reviewer: **DAVIT JANOEVI,**

Honored coach of Georgia

Computer support and consultation: **AMIRAN CHANTURIA**

**ISBN 978-9941-8-0386-4 (PDF)**

## სარჩევი

|  |    |
|--|----|
| ნინათქმის ნაცვლად .....  | 9  |
| მერაბ თხელიძის ინტერვიუ ზაზა დავითაიასთან .....                                    | 10 |
| შესავალი .....   | 11 |
| თავი პირველი. დასაწყისი, ჩემი ადრეული შემოქმედება (1953-1959) .....                | 14 |
| 1. თამაზ კალატოშვილი - მერაბ თხელიძე .....   | 23 |
| 2. მერაბ თხელიძე - ბორის ვეიზერი .....   | 24 |
| 3. ლიტვინოვი - თხელიძე .....   | 25 |
| 4. დავით ბრონშტეინი - მერაბ თხელიძე .....  | 28 |
| 5. მერაბ თხელიძე - იური ვეტოხინი .....   | 29 |
| თავი მეორე. გზა ოსტატობისაკენ (1959-1963) .....                                    | 38 |
| 6. დოროშკევიჩი - თხელიძე .....   | 41 |
| თენგის გიორგაძის სტატია „ბოტვინიკის პირველი სტუმრობა თბილისში“ ....                | 42 |
| 7. მერაბ თხელიძე - მიხეილ ბოტვინიკი .....  | 44 |
| 8. მერაბ თხელიძე - გენადი სოსონკო .....  | 46 |
| 9. ანზორ ხელაშვილი - მერაბ თხელიძე .....   | 47 |
| 10. მერაბ თხელიძე - ბორის სპასკი .....   | 48 |
| 11. ბუხუტი გურგენიძე - მერაბ თხელიძე .....   | 50 |
| 12. ალექსანდრე ბუსლაევი - მერაბ თხელიძე .....                                      | 52 |
| 13. მერაბ თხელიძე - რომან ჯინჯიხაშვილი .....                                       | 53 |
| 14. მერაბ თხელიძე - ჯემალ ბერაძე .....   | 54 |
| თავი მესამე: მერაბ თხელიძე თავის საჭადრაკო მწვერვალზე (1963-1972) .....            | 62 |
| 15. მიხეილ ტალი - მერაბ თხელიძე .....  | 65 |
| „ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრფიალი“ .....                                      | 67 |
| 16. სამოილოვი - თხელიძე .....  | 68 |
| 17. გრინბერგი - თხელიძე .....  | 68 |
| 18. მერაბ თხელიძე - გაგიკ აკოპიანი .....   | 69 |
| 19. ვასილ ლეპიოშკინი - მერაბ თხელიძე .....   | 70 |
| 20. თხელიძე - მაკაროვი .....   | 70 |
| 21. თხელიძე - სოკოლოვი .....   | 71 |
| 22. თხელიძე - კოროლიოვი .....  | 73 |
| 23. ოხოტნიკი - თხელიძე .....   | 74 |
| 24. თხელიძე - გუტკინი .....  | 75 |
| თავი მეოთხე: არსებობისათვის მათემატიკა, სიყვარულისთვის — ჭადრაკი (1972-1994) ..... | 79 |
| 25. მერაბ თხელიძე - იური ჩიქოვანი .....  | 80 |


|  |     |
|--|-----|
| 26. ორდიანი - თხელიძე .....  | 81  |
| 27. მიკულოვი - თხელიძე .....   | 82  |
| 28. ნამდაროვი - თხელიძე .....  | 83  |
| 29. მერაბ თხელიძე - გია გრძელიშვილი .....  | 84  |
| 30. მერაბ თხელიძე - ემილ მიქაელიანი .....  | 85  |
| 31. მერაბ თხელიძე - ირაკლი ცქიტიშვილი .....  | 86  |
| 32. თორნიკე კერძაია - მერაბ თხელიძე .....  | 87  |
| 33. მერაბ თხელიძე - იური ჩიქოვანი .....  | 88  |
| 34. მერაბ თხელიძე - გეორგ მიტიევი .....  | 89  |
| თავი მეხუთე: ჭადრაკის თამაშს ვაპირებ სიცოცხლის ბოლომდე (19994 წლი-<br>დან) .....                     | 90  |
| 35. რამაზ ჩიქოვანი - მერაბ თხელიძე .....   | 92  |
| 36. მერაბ თხელიძე - რევაზ დადიანი .....  | 93  |
| 37. რამაზ ჩაგელიშვილი - მერაბ თხელიძე .....  | 94  |
| 38. თხელიძე - მატა .....   | 95  |
| 39. თხელიძე - კალვერტი .....   | 97  |
| 40. გერდ შმედერსი - მერაბ თხელიძე .....  | 98  |
| 41. მერაბ თხელიძე - ოლივერ ლუტცი .....   | 99  |
| ლამაზი კომბინაცია - ამონარიდი გაზეთ „ლაზიერი“-დან .....  | 101 |
| 42. მერაბ თხელიძე - იან ბედნარი .....  | 102 |
| 43. მილან კაჯანი - მერაბ თხელიძე .....   | 103 |
| 44. მერაბ თხელიძე - პეტერ ფოლკი .....  | 104 |
| 45. მერაბ თხელიძე - რობერტ კუბიჩევი .....  | 105 |
| 46. მერაბ თხელიძე - ჰორის ნეიჩი .....  | 106 |
| 47. ვახტანგ მალანია - მერაბ თხელიძე .....  | 107 |
| 48. მერაბ თხელიძე - კოპილოვი .....   | 109 |
| 49. მერაბ თხელიძე - ნასიბულინი .....   | 110 |
| 50. ვალერი გაფრინდაშვილი - მერაბ თხელიძე .....   | 111 |
| 51. ჰუბერტ მორონგი - მერაბ თხელიძე .....   | 112 |
| 52. მერაბ თხელიძე - ელენა ჩისტიაკოვა .....   | 113 |
| 53. მერაბ თხელიძე - მარკ ლეილი .....   | 115 |
| 54. მერაბ თხელიძე - დან ე. მაიერსი .....   | 117 |
| ცხრილები .....   | 118 |
| დებიუტების მაჩვენებელი .....   | 138 |
| მერაბ თხელიძის მიერ საჭადრაკო სეჯიბრებებში მიღწეული მნიშვნელოვანი<br>შედეგები 1953-2017 წლებში ..... | 139 |



## წინათქმის ნაცვლად

ჩემი დამოკიდებულება ჭადრაკისადმი მინდა გამოვხატო მსოფლიოს მერვე ჩემპიონის **მიხეილ ტალის** სიტყვებით:

„ჭადრაკი არის ჩემი სამყარო, არა სახლი,  
არა სიმაგრე, რომელშიც მე ვეძებოდი რე-  
ოვრებისეულ პრობლემებს, არამედ სამყარო,  
რომელშიც ვცხოვრობ სავსე რეოვრებით და  
გამოვხატავ საკუთარ თავს“.





## შესავალი

*„ჭადრაკის თამაში, წამყვალმა ღიჯით გამცდლას გაუძღო, უკეთესია, ვიდრე ადამიანის უფელა ნიგნი და ქმნილება. იგი ეწთადენთი თამაშია, წამყვალც უფელა ხალხის და უფელა ებქის კუთვნილება“.*

*შტეჟან ცჰაიბი*

ჭადრაკის სამყარო იდუმალეზით მოცული და ინტერესის აღმძვრელია. მას შეუძლია ესთეტიკური ზემოქმედება მოახდინოს ადამიანებზე, გააღვიძოს მათში ემოციებისა და გრძნობების მთელი პალიტრა, სულიერად აამაღლოს ისინი. მაგრამ, აქ საქმე გვაქვს ერთ მნიშვნელოვან „მაგრამთან“. როგორც ხელოვნების ნებისმიერი დარგი ჭადრაკიც მოითხოვს მისი თაყვანისმცემლებისაგან ჭადრაკის თამაშის გარკვეულ დონეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მყარდება ნამდვილი შემოქმედებითი სიახლოვე და რეზონანსი საჭადრაკო ნაწარმოებებსა და ჭადრაკის ხელოვნების გულშემატკივრებს შორის. ჭადრაკი არა მარტო ხელოვნების ერთ-ერთი დარგია, არამედ ხელოვნების ყველა დარგიდან გამორჩეული, არაჩვეულებრივი დარგია. ჭადრაკში ხელოვნება მჟღავნდება არა მარტო დასრულებულ საჭადრაკო ნაწარმოებებში, როგორცაა პარტიები, ამოცანები, ეტიუდები და ა.შ., ანალოგიურად ხელოვნების სხვა დარგებისა — ლიტერატურის, ფერწერის, მუსიკის, არამედ ჭადრაკში ხელოვნება დინამიკაშიც მჟღავნდება. ანუ პარტიის თამაშის, ეტიუდის შედგენის დროს, ასე ვთქვათ, „პირდაპირ ეთერში“, რომელიც იქმნება მაყურებელთა თვალწინ, მათი თანამონაწილეობით და საჭადრაკო ნაწარმოების შემქმნელებს თვითონაც არა აქვთ გარანტია, რომ მიაღწევენ წინასწარ დაგეგმილ შედეგს. ეს განსხვავებულია მაგალითად მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისგან, რომელიც წინასწარ დაწერილი პარტიტურის ან ნოტების მიხედვით სრულდება. ამიტომ არის ჭადრაკის ხელოვნება განსხვავებული, დამაინტრიგებელი და „სულის შემხუთველი“.

ჭადრაკი კიდევ იმიტომაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ის ხელმისაწვდომია ყველა ადამიანისთვის, მისი ეროვნების, რჯულის, მატერიალური მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულების და ა.შ. მიუხედავად. მითუმეტეს დღეს, როდესაც მსოფლიოს მრავალ წერტილში დაძაბულობის კერებია, განხეთქილება ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის, საერთაშორისო ურთიერთობებში ნდობისა და კეთილმოსურნეობის დეფიციტია, ხალხების დაახლოების და ურთიერთგაგების ნებისმიერ შესაძლებლობებს უნდა ხელი შევუწყოთ. სწორედ ჭადრაკი იძლევა საშუალებას საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, გამოცდილების გაზიარებისათვის, ურთიერთდახმარებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ჭადრაკის ცოდნა ეხმარება ადამიანს საკუთარი პიროვნების შეცნობაში, პარმონიულ განვითარებასა და პროფესიის სწორედ არჩევაში. აი რას ამბობს ამის შესახებ ჭადრაკში მსოფლიო მეთორმეტე ჩემპიონი **ანატოლი კარპოვი**: „ჭადრაკი ჩემი ცხოვრებაა, მაგრამ ჩემი ცხოვრება მარტო ჭადრაკი არ არის“. მე, **მერაბ თხელიძეს**, მიყვარს ჭადრაკი თავდავინწყებით და უანგაროდ, მაგრამ ჭადრაკმაც „გადამიხადა სამაგიერო“ — დამეხმარა ადამიანებთან ურთიერთობაში, მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობაში და საერთოდ თუ რაიმე მნიშვნელოვანს მივალწიე ცხოვრებაში, ეს ჭადრაკის დამსახურებაა.

ჩემი, როგორც მათემატიკოსის და მეცნიერის განსაკუთრებული ინტერესის საგანია ჭადრაკის ის ნაწილი, რომელშიც საჭადრაკო შემოქმედება იკვეთება ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის სხვა სფეროებთან, კერძოდ კი მეცნიერებასთან!

მაინც რით იზიდავს მეცნიერებს ჭადრაკი? მათ ჭადრაკი იზიდავთ წარმოქმნილი სიტუაციების მრავალფეროვნებით და მრავალსახეობით, რაც ამოუწურავ შესაძლებლობებს იძლევა შემოქმედების გამოსავლენად. ჭადრაკის თამაშში შემოქმედებითი ძიების აუცილებლობათითქმის ყოველ სვლაზეა საჭირო. ჭადრაკის თამაშის დროს გამარჯვების სვლის მიგნების სიხარული და საბედისწერო შეცდომის სიმწარე მოჭადრაკეს მუდმივად თან ახლავს. ეს ძალიან ჰგავს მეცნიერებაში აღმოჩენების სიხარულს და იმედგაცრუებია სიმწარეს.

ჭადრაკი ავარჯიშებს ადამიანის ნებისყოფას, ხასიათს, ეხმარება ადამიანის ფსიქოლოგიაში გარკვევას, გამოუმუშავებს მას გამძლეობას, აკაჟებს მის ნებისყოფას, ვაჟკაცობას, ბრძოლისა და გამარჯვების დაუოკებელ სურვილს — სწორედ ხასიათის ეს თვისებებია აუცილებელი მეცნიერისთვისაც. ის ვალდებულია უპირველეს ყოვლისა იპოვოს თავისი „თამაში“, მეცნიერული ძიების თავისი გზა, თუმცა ეს გზა ყოველთვის არ არის ვარდებით მოფენილი არც მეცნიერებაში და არც ჭადრაკში.

კითხვაზე რაზე ოცნებობს მოყვარული მოჭადრაკე, რომელიც თავის ძირითად პროფესიას უთავსებს ჭადრაკის სიყვარულს, პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ის ოცნებობს ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეხვდეს მსოფლიოს ჩემპიონს თუნდაც ერთდროული თამაშია სეანსში და შეძლოს მისი დამარცხება.

რატომ არის ეს პასუხი ერთადერთი? გიპასუხებთ დიდოსტატ **რუდოლფ შპილმანის** სიტყვებით: „თამაშის ძალა შეფარდებითია და იგი მხოლოდ მეტოქის ძალით შეიძლება გაიზომოს. მასშტაბს იძლევა მსოფლიოს ჩემპიონი, რომელიც ადამიანის საჭადრაკო მიღწევების უმაღლეს საფეხურზე დგას“. ამიტომ არის ყველა მოყვარული მოჭადრაკის ოცნება მსოფლიოს ჩემპიონთან თამაში — იმიტომ რომ გაიზომოს თავისი თამაშის ძალა! ალბათ მისი ოცნების მწვერვალია შეხვდეს ჭადრაკის დაფასთან ორ მსოფლიოს ჩემპიონს და ორივე დაამარცხოს. მესამესაც შეხვდეს და ისიც დაამარცხოს? ეს ფან-

ტასტიკაა ... და მე ეს შევძელი! მე ეს შევძელი! მე, **მერაბ თხელიძემ**, მათემატიკოსმა, მეცნიერმა და მოყვარულმა მოჭადრაკემ!

ამ წიგნში მე მოგიხსნებოდა ჩემს შეხვედრებზე მსოფლიოს ჩემპიონებთან, დიდოსტატებთან, ოსტატებთან და სხვა მოჭადრაკეებთან, რომლებთანაც მომწონს ჩემი პარტიები.

იმედს ვიტოვებ, რომ არ მოგანწყენთ და არ მიწყენთ, თუ ჩემს პარტიებს გარდა საჭადრაკო კომენტარებისა, ისეთ კომენტარებსაც დაურთავ, რომლებსაც ერთი შეხედვით ჭადრაკთან არავითარი კავშირი არ აქვს.

პატივისცემით, ავტორისაგან

*მერაბ თხელიძე*



მარცხნიდან: მერაბ თხელიძე, ფიდეს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი, ფიდეს ოსტატი ვარლამ ვეფხვიშვილი და ფილიპინელი მსაჯი.

## თავი 1. დასაწყისი. ჩემი აღრეული შემოქმედება (1953-1959)

ჯერ მოკლედ მოგიყვებით ჩემს ბავშვობაზე და ოჯახზე. მე, **მერაბ თხელიძე** დავიბადე 1939 წლის 18 ივლისს თბილისში მოსამსახურეთა ოჯახში ღარიბსა და საშუალო ფენებს შორის მაშინდელი ბიუჯეტის გათვალისწინებით.

### ჩემი მშობლები




მამაჩემი — **გრიგოლ ალექსის-ძე თხელიძე** (1906-1989) - ისტორიკოსი, სამხედრო კომისარი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ტყვეობაში ნამყოფი, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა სამხატვრო ტექნიკუმში ისტორიის მასწავლებლად და სამნეონაწილის გამგედ. შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე მსახურობდა თბილისის კონიაკის ქარხნის ბიბლიოთეკის გამგედ.

დედაჩემი — **თამარ ალექსანდრეს ასული სამსონია** (1908-1959). დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, პარტიული სკოლა. სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისის განათლების განყოფილებაში ბავშვთა საქმეთა ინსპექტორად.

1948 წელს ჩვენთან საცხოვრებლად გადმოვიდა ბაბუაჩემი, დედაჩემის მამა — **ალექსანდრე ოთარის - ძე სამსონია** (1875-1956), რომელმაც ოზურგეთში (მახარაძეში) გაყიდა საცხოვრებელი და მთელი ფული (15 ათასი მანეთის ღირებულების 3%-იანი ობლიგაციები) დედაჩემს სააჩუქრად მიართვა.





1950 წლის 2 თებერვალს ჩვენს ოჯახს შეემატა მეოთხე წევრი, დაიბადა ჩემი და მარინა.

შვიდი წლისა დედაჩემმა სასწავლებლად შემეყვანა თბილისის **სტალინის** სახელობის პირველ საშუალო სკოლაში.

მე განსაკუთრებულ კლასში მოვხვდი — გამოჩენილი პიროვნებებისა და პარტიული ლიდერების შვილების კლასში. ჩამოგითვლით ჩემს რამდენიმე კლასელს: **ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გელა ჩარკვიანი, გურამ დოჩანაშვილი, ჯუანშერ ლალიძე** და სხვები. დანვრილებით ჩვენი მეხუთე კლასის მოსწავლეების შესახებ იხილეთ სურათზე ქვემოთ.



**ლევან კალანდაძე** (დგას და გაზეთი უჭირავს). **სხედან** - მარცხნიდან მარჯვნივ: **მერაბ მარგველაშვილი, ნუგზარ ახვლედიანი, რამაზ გაჩეჩილაძე, ლევან თვაური, ნიკოლოზ ცხაკაია, ზაზა ჩაჩანიძე, თენგიზ მაჩალაძე**; **დგანან** (მეორე რიგში) - მარცხნიდან მარჯვნივ: **ჯემალ ფიცხელაური, ნუგზარ ჩანტლაძე, ოთარ გეგეშიძე, თემურ მეტრეველი, დემნა ცხაკაია, მერაბ თხელიძე, როდამ ჭელიძე, ქუთათელაძე, რუსლან რუხაძე, დგანან** (მესამე რიგში) - მარცხნიდან მარჯვნივ: **ზვიად გამსახურდია, თამაზ ბერიძე, მერაბ კოსტავა, თამაზ სანებლიძე, ვლადიმერ სიხარულიძე, ჯუანშერ ლალიძე.**


## ჩემი თანაკლასელები



ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა



გელა ჩარკვიანი



გურამ ღორჩანაშვილი

1957 წელს ოქროს მედალზე დავამთავრე სკოლა და სწავლა გავაგრძელე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წითელ დიპლომზე დავამთავრე 1962 წელს.

აქ მთავრდება ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წლები — ბავშვობა, უფრო ზუსტად 1959 წლის 7 სექტემბერს, დედაჩემის გარდაცვალების დღეს.





ახლა გადავდივარ იმაზე, თუ როგორ შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში ჭადრაკი და როგორი იყო ჩემი ადრეული საჭადრაკო შემოქმედება. ვერ ვიხსენებ რამდენი წლის ვიყავი, როდესაც სხვის თამაშზე დაკვირვებით ვისწავლე ფიგურების სვლები, გარდა მხედრის სვლისა.

მეოთხე კლასში გადავედი, როდესაც ზაფხულის არდადეგებების დროს დედამ სამსახურში მიცემული უფასო საგზურით დასასვენებლად გამაგზავნა ქვიშხეთის პიონერთა ბანაკში. იმ დროისათვის მე ვიყავი დაბალი, გამხდარი, საკმარისად შეუხედავი ბიჭი, მუდამ გაბმული ბიჭებთან საქმეების გარჩევაში, ჩხუბებში, რომლებიდანაც მუდამ გალახული გამოვდიოდი, ვერ ვიტანდი და ახლაც ვერ ვიტან უსამართლობას და ... ამიტომ გალახული გამოვდიოდი მაშინაც და დღესაც!

მაგრამ აქ ცხოვრებაში პირველად გამილიმა ბედმა: ბანაკის სამნეო ნაწილის გამგის შვილმა, ახოვანმა და ჭკვიანმა მეხუთეკლასელმა, რომლის სახელი სამნუხაროდ აღარ დამამახსოვრდა, თავისი მფარველობის ქვეშ ამიყვანა, ვერავინ მიბედავდა ცერად შეხედვასაც კი, მოჰქონდა ჩემთვის სხვადასხვა სასუსნავი, მაშინ არ მესმოდა რატომ იქცეოდა ასე. დღეს ვიცი — ალბათ ძალიან ვეცოდებოდი და რაც ყველაზე მთავარია, მასწავლა ჭადრაკის თამაში. აი, ვინ იყო ჩემი პირველი მასწავლებელი ჭადრაკში.

თუ ის დღეს ცოცხალია, ღმერთს ვთხოვ ხელში ჩაუვარდეს ეს წიგნი, თუ ის გამოიცა, რომ იცოდეს მისი ვალიდან ვერასოდეს ამოვალ ჭადრაკის თამაშის სწავლებისა და იმისათვის, რომ შემაყვარა ჭადრაკი. დღესაც ჩამესმის მისი სიტყვები: „ჭადრაკი ვაჟკაცების თამაშია“-ო!



მერაბ თხელიძე თავის კლასელებთან

გამოხდა ხანი. 1951 წელს მე-5 კლასელებმა — **ნუგზარ ჩანტლაძემ, თენგიზ მაჩალაძემ, ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, გურჯი ფხალაძემ და მე**, გაკვეთილების შემდეგ მივაშურეთ პიონერთა სასახლეს კალათბურთის წრეში ჩასაწერად.

ისე მოხდა, რომ ვერც კალათბურთის წრეში, ვერც მაგიდის ჩოგბურთის წრეში ვერ ჩავეწერეთ. კაბინეტების დათვალიერების დროს მე და ზვიადმა შევიხედეთ ჭადრაკის წრის კაბინეტში. მასწავლებელს ჩვენ თავისი მოსწავლეები ვეგონეთ და შეგვიპატიჟა. მას ხათრი ველარ გავუტეხეთ და ასე მოვხვდი ჭადრაკის წრეში. მასწავლებელი, ენერგიული სახის მელოტი კაცი აღმოჩნდა **ვახტანგ ქარსელაძე** (1919-1966). მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მწვრთნელი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული საქართველოში ქალთა ჭადრაკის სკოლის შექმნა და მისი აღზევება. ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი: **ლიანა ხაჭაპურიძე, ელისო კაკაბაძე, მანანა ტოგონიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია**. მან გამოზარდა ვაჟთა მოჭადრაკეების პლეადაც. მათ შორის **გივი გამრეკელი, თამაზ და გურამ კალატოზიშვილები, იური ჩიქოვანი, დავით ჯანოევი, ალექსანდრე იზვოზნიკოვი, თამაზ გიორგაძე, ალექო ბოკუჩავა და მეც**, თუ გნებავთ.

### ჩემი მწვრთნელები



ვახტანგ ქარსელაძე



ვიქტორ ბოგლიძე



ლიანა ნატაშვილი



ელისო კაკაბაძე



1947 და 1948 წლების  
საქართველოს ჩემპიონი  
ქალთა შორის  
**ლილი გელოვანი**  
(1911-1973)  
და მისი ქალიშვილი  
**მანანა ტოგონიძე**




თამარა ბერაძე (ვახტანგ ქარსელაძის მეუღლე), ნანა ალექსანდრია,  
ვიქტორ ვასილიევი (ავტორი ნიგნისა „მოზღვავებული სიკეთე“),  
გია ქარსელაძე (ვახტანგის შვილი) და ნონა გაფრინდაშვილი.  
გორი, ვახტანგ ქარსელაძის I მემორიალი, 1968 წ.



ალექსანდრე ბუსლაევი




ალექსანდრე ბლაგიძე




გივი გამრეკელი



ბუხუტი გურგენიძე



რომან ჯინჯიხაშვილი



თამაზ გიორგაძე



ალექსანდრე იზოვჰიკოვი



დავით ჯანოელი



ალექსანდრე ბოკუჩავა

ჩემი კლასელები არ დაინტერესდნენ ჭადრაკით და მალე მიატოვეს წრე. მე კი შემოვრჩი და ასე დაიწყო ჩემი საჭადრაკო ოდისეა, რომელიც უკვე 64 წელია გრძელდება.

1953 წელს უკვე მეორეთანრიგოსანი მოჭადრაკე ვარ. საჭადრაკო ნათლობა მივიღე ბათუმში მიმდინარე საქართველოს გუნდურ ჩემპიონატში თბილისის ბოლო მეოთხე გუნდში ბოლო მეხუთე დაფაზე **კაზარიანის, ლომაიას, აბოიანის, გამბარიანის** შემდეგ. 7-დან 7 ქულა ავიღე და დამიშვეს საქართველოს ჩემპიონატში მოსწავლეებს შორის 1953 წლის 8-25 ივლისს. 11-დან 3,5 ქულა მოვაგროვე და ბოლო ადგილები გავიყავი **ედუარდ გერსამიასთან** (იხ. ცხრილი 1).

1954 წლის 29 ივნის-14 ივლისში ქობულეთში ჩატარდა შესარჩევი ტურნირი საბჭოთა კავშირის გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის საქართველოს ნაკრებ გუნდში მოსახვედრად. თავისუფალი იყო 3 ადგილი. მე 10-დან 6,5 ქულით დავიკავე მესამე ადგილი და შევასრულე პირველი თანრიგის ნორმატივიც (იხ. ცხრილი 2).

ამ წლიდან მოყოლებული საქართველოს ნაკრების უცვლელი წევრი ვარ: 1954 წელი - ლენინგრადი, X დაფა, 1955 წელი - რიგა VIII დაფა, 1956 წელი - ლენინგრადი, II დაფა, 1957 წელი - ვლადიმირი, I დაფა საქართველოს ჩემპიონის რანგში (იხ. ცხრილები 3,4,5,6).

1958 წელს, **ვიქტორ გოგლიძესთან, ვახტანგ ქარსელაძესთან და გოგი ეგიაშვილთან** ერთად, როგორც მწვრთნელთა კოლექტივის წევრი, ვიყავი ლენინგრადში, მაგრამ ეს უკვე სხვა, სიყვარულის ისტორიაა, როგორც ყოველთვის ამაღლებული, რომანტიკული და უიღბლიო. 1956 წლიდან დავიწყე მონაწილეობა მამაკაცებს შორის თბილისის პირველობებში და საქართველოს ჩემპიონატებში მოსახვედრად, რასაც 1960 წლისთვის მივალწიე კიდევ. ამით დამთავრდა ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა.



ალექსანდრე ბოკუჩავა და გიორგი ციხელაშვილი



ედუარდ გერსამია



**თაიშურაზ ლომაია**

1940-1994წწ.

სსრკ სპორტის ოსტატი. საქართველოს  
ნაკრების წევრი (1963-67წწ.)



**იური ჩიქოვანი**

დ.1937წ

სსრკ სპორტის ოსტატი.  
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.



ბათუმი. 1953 წელი.

საქართველოს გუნდური ჩემპიონატი  
მოსწავლეებს შორის.

ერთმანეთს ხვდებიან სოხუმისა და  
თბილისის მეოთხე გუნდი.

მარჯვნივ ბოლო დაფაზე ზის  
მერაბ თხელიძე.

მატჩს თვალს ადევნებენ  
მთავარი მსაჯი ვიქტორ გოგლიძე  
და სოხუმის გუნდის მწვრთნელი

**1. თამაზ კალატოზიშვილი** (თბილისი, I თანრიგი) -  
**მერაბ თხელიძე** (თბილისი, II თანრიგი)  
 საქართველოს ჩემპიონატი მოსწავლეებს შორის.  
 ბათუმი, 1953

ძველინდური დაცვა **A05**

**1.♠f3 ♗f6 2.g3 g6 3.♙g2 ♙g7 4.d3 d6**  
**5.0-0 0-0 6.e4 e5 7.♗e1**


**♙xf5 15.♗xf5 ♖xf5 16.♗b3+ ♖h8**  
**17.♗xb7**

ჩემი პირველი პარტია პირველ სერიოზულ ტურნირში და თანაც საქართველოს მოსწავლეთა 1952 წლის ჩემპიონთან. პიონერთა სასახლეში ორი წელი თუ დავდიოდი და ღია დებიუტების გარდა სხვა დებიუტების თეორიაში მაინცდამაინც ვერ ვერკვეოდი. მოგეხსენებათ ისიც, რომ 13–14 წლის მოჭადრაკეებს აინტერესებთ თამაში და არა თეორიის „დაზუთხვა“. ჩემთან 1.♠f3 საერთოდ პირველად თამაშობენ. მოვიკრიფე ნებისყოფა, გავიხსენე ვახტანგ მასწავლებლის მრავალჯერ ნათქვამი, რომ „ითამაშეთ დებიუტის თამაშის ძირითადი პრინციპებით უცნობ დებიუტებშიც და დიდხანს არ გაიმეოროთ თეთრების სვლები, თორემ ... პირველად მიიღებთ შამათსო“ და ვითამაშე

**7...♗h5.**

პარტია ასე გაგრძელდა:

**8.♗c3 ♗c6 9.♗d5 ♙e6 10.♗e3 ♖d7**  
**11.c3 ♗ad8 12.f4 exf4 13.gxf4 f5 14.exf5**



**17...♗c5+!?**


ხაფანგი! ტყუილად კი არ მეძახოდნენ ამხანაგები „შახტურას“ ჩემი „კრივოი“ ვარიანტების გამო, როგორც ამბობდა ვახტანგ მასწავლებელი. კომპიუტერმა გვიჩვენა

**17...♗d4! 18.♗e4 ♗xe4 19.♙xe4 ♗e2+**  
**20.♖h1 ♗xc1 21.♗xc1 ♗xf4**

**18.d4 ♗xd4 19.cxd4?!**

**19.♙e3 ♗b8 20.♗e4 ♗e2+ 21.♖f2 ♗b5**  
**22.♗d3 ♗f6 23.♗f3 ♗xd3 24.♗ad1 ♗a6+**  
**19...♙xd4+ 20.♖h1 ♗g3+ 21.hxg3 ♗h5+**

თეთრები დანებდნენ **0-1**



1953 წელს თბილისის ვაჟთა ჩემპიონატში თამაზ კალატოზიშვილმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

**2. მერაბ თხელიძე (I თანრიგი) –  
ბორის ვეიზერი (ოსტატობის კანდიდატი)  
თბილისის პირველობის ნახევარფინალი მამაკაცებს შორის.  
თბილისი, 1955**

ალიოხინის დაცვა **B02**

**1.e4 ჭf6 2.e5 ჭd5 3.c4 ჭb6 4.c5 ჭd5  
5.ღc4 e6 6.ღc3 ჭxc3 7.dxc3 ღxc5?!**

ჩემი საჭადრაკო პრაქტიკის მესამე წელს მე უკვე ღრმად ჩავკირკიტებდი დე-ბიუტების თეორიას, რასაც გვაძლევდა **ვახტანგ ქარსელაძე**, დებიუტების სახელმძღვანელოებიდან ვირჩევდი სასურველ ღია დებიუტებს, არ ვერიდებოდი შეწირვებსაც აქტიური, შემტევი თამაშის მისაღებად. ჩემი მოწინააღმდეგე ერთადერთი ოსტატობის კანდიდატი იყო ტურნირში და ძალიან მინდოდა მისთვის მომეგო. მან მიიღო პაიკის შეწირვა, რამაც მომცა „ჩემი“ თამაში

**8.♖g4 ჭf8**

სხვა გაგრძელებებია:

8...0-0 9.ღh6;


8...g6 9.h4 ჭc6 10.ღf3 h5 11.♖g3 d5

12.ღd3 ღe7 13.ღg5

თეთრების უპირატესობით ორივე ვარიანტში

**9.ღf3 ჭc6 10.♖h5!? d6 11.b4 ღb6**

**12.ღg5 ♕e8 13.♞d1 dxe5**



**14.b5! f6!? 15.♖xe8+ ჭxe8 16.bxc6 fxg5**

**17.ღb5 ჭe7 18.ღxe5 ღa5 19.0-0 a6**

ა6 19...ღxc3 20.cxb7 ღxb7 21.♞d7+ ჭf8

22.f4±

**20.cxb7 ღxb7 21.♞d7+ ჭf6**

ა6 21...ღf8 22.ღc4±;

21...ღe8 22.♞xc7+ axb5 23.♞xb7±

**22.♞e1 ♞hf8 23.ღg4+ ჭf5 24.♞e5+**

**ღxg4 25.ღe2+ ჭf4 26.♞xa5 ♞ad8**

**27.g3+** შავები დანებდნენ.



მერაბ თხელიძე, ედუარდ გერსამია,  
გურამ კალატოზიშვილი

თბილისის პირველობის ფინალში ხვდებოდა პირველი სამი გამარჯვებული.

მე, გურამ კალატოზიშვილმა და ბორის ვეიზერმა გავიყავით I-II-III ადგილები, დამატებითი მაჩვენებლით მე გავედი პირველ ადგილზე.

ეს ერთი ოცნება — თამაში თბილისის ჩემპიონატში ავისრულე (იხ. ცხრილი 4).



**3. ლიტვინოვი (ბელორუსია, ოსტატობის კანდიდატი) –  
თხელიძე (საქართველო, I თანრიგი)  
საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა.  
ვლადიმირი, 1957**

ძველინდური დაცვა **E87**

**1.c4 ♁f6 2.♁c3 g6 3.d4 ♁g7 4.e4 0-0 5.f3 d6 6.♁e3 e5 7.d5 ♁e8 8.♁d2 c5 9.h4**

დადგა დრო მოგითხროთ საკავშირო პირველობების შესახებ მოსწავლეებს შორის. ჩვენი ოცნება იყო მოვხვედრილიყავით ამ გუნდში, რომელშიც 10 ვაჟი იყო 1954 წელს, ხოლო შემდეგ წლებში 1955-1957 წლებში — 8 ვაჟი და 4 გოგონა. შეკრებებს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ოსტატი, ჩვენი გამოჩენილი თანამემამულე **ვიქტორ არსენის-ძე გოგლიძე**, მთავარი მწვრთნელი კი იყო **ვახტანგ ილიას-ძე ქარსელაძე**. ისინი არჩევდნენ გუნდს ან შესარჩევი ტურნირის შედეგების ან საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით.


ვიქტორ მასწავლებლის ყველას ძალიან გვეშინოდა, ვახტანგ მასწავლებელიც კი ძალიან მონივნებით ექცეოდა. მისი სიტყვა კანონი იყო. მაგრამ ყველა ჩემი თანაგუნდელი კარგად ხვდებოდა, რომ მე განსაკუთრებულად, დიდი სიყვარულით მექცეოდა. ფაქტიურად ყველა ცელქობას მპატიობდა. ის კი არა და პიონერთა სასახლის გარდა თავისთან სახლში მიბარებდა და კვირაში ორჯერ მარტო მამეცადინებდა. თუმცა ხშირად გაუეციცხივარ „გიჟური“ თამაშის გამო. „კანატონოსეცს“ ანუ ცირკში თოკზე მოსიარულე კლოუნს მეძახდა, არავინ იცის როდის ჩამოვარდებო. 1954 წელს ქობულეთში ჩატარებულ შესარჩევ ტურნირში, რომლის პირველი სამი გამარჯვებული გუნდში ხვდებოდა, ავიღე მესამე ადგილი, შევასრულე პირველი თანრიგის ნორმატივი და ადგილი გუნდში მეათე დაფაზე, რომელიც 1954 წლის აგვისტოში ლენინგრადში გაემგზავრა. (იხ. ცხრილი 2, ცხრილი 3). შემდეგ წლებში სკოლის დამთავრებამდე გუნდის უცვლელი მონაწილე ვიყავი: 1955 წელს რიგაში — მერვე დაფაზე, 1956 წელს ლენინგრადში — მეორე დაფაზე და 1957 წელს ვლადიმირში — პირველ დაფაზე (იხ. ცხრილი 5).

ამავე პერიოდში 1955-1957 წლებში ბატონების: **ვიქტორისა და ვახტანგის** მცდელობითა და შთაგონებით, რომ მე მაქვს განსაკუთრებული საჭადრაკო თეორეტიკოსის ნიჭი, ისინი მაიძულებდნენ შემექმნა „ჩემი“ თეორიული ვარიანტები. ასე შეიქმნა უამრავი თეორიული კვლევა, მაგრამ მათგან გამოვყოფ ორ მთავარ თეორიულ კვლევას — სიცილიური დაცვის მორას გამბიტში (ვახტანგ მასწავლებლის „დაძალების“ გამო) და ესპანურ პარტიაში ვარიანტ 7. ... ♁g4 (ვიქტორ მასწავლებლის „დაძალების“ გამო), რომლებიც გამყვა მთელი საჭადრაკო ცხოვრების მანძილზე. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამ ორ უდიდეს პიროვნებას. მათი გარდაცვალების შემდეგ მე მწვრთნელი აღარ მყოლია, მათ შემდეგ სხვასთან მისვლა ვერ შევძელი.


**9...h5?! 10.g4 ♁f6 11.♁g5 ♁e8 12.♁xf6 ♁xf6 13.gxh5 ♁e7 14.hxg6 ♁xh4+ 15.♁d1 fxg6 16.♁h2 g5?!**

(16...♙f6)

17.♙h3 ♗xh3 18.♖xh3 ♘d7 19.♗ge2 ♗b6 20.b3 ♖f6 21.♖f1 ♗c8 22.♔c2 a6 23.a4 ♖f7  
24.♗d1 ♗e7 25.♗e3 ♖af8 26.♖ad1 ♖g6 27.♖d3 ♖h7 28.♖e6+ ♖hf7 29.♗f5



29...♖xe6 30.dxe6 ♖xf5 31.exf5 ♗xf5 32.♖g1 ♖f6 33.♗c3 ♗d4+ 34.♔b2 ♖xe6 35.♗e4  
♖g6 36.a5 ♔f8 37.♖g2 ♔e7 38.♔a3 ♗c6 39.♔a4 ♙e1 40.♖xg5 ♖xg5 41.♗xg5 ♙xa5  
42.♖d1



აქ პარტია გადაიდო. ამ დიაგრამაზე მითითებული პოზიცია დაიბეჭდა ჟურნალში  
Шахматы в СССР, 1957 №12, რომელშიც განხილული იყო ჩატარებული საკავშირო  
გუნდური პირველობის შედეგები და ეს პოზიცია, როგორც ლამაზი ენდშპილის  
მაგალითი (იხ. ცხრილი 6).

42...♙b4 43.♖h1 ♔d7 44.♖h7+ ♗e7 45.♗f7! b6! 46.♖g7 ♗d5 47.♗xe5+ ♔e6 48.♖g6+  
♔f5 თეთრები დანებდნენ  
0-1

**1954 წელს საქართველოს ნაკრებმა** საბჭოთა კავშირის გუნდურ ჩემპიონატში 18 წლის ჭაბუკთა შორის V ადგილი დაიკავა.



I რიგი: გიგლა გაჩეჩილაძე, ვიქტორ გოგლიძე, ანდრო ლონლაძე (ექიმი), ანდრო გამრეკელი (ექიმი);

II რიგი: გურამ კალატოზიშვილი, ედუარდ გერსამია, მერაბ თხელიძე, გურამ მაჭავარიანი, ვლადიმერ სმირნოვი, თემურ ლომაია, იური ვეტოხინი, დავით ჯანოევი



I რიგი: ვლადიმერ კაჭარავა, იური ჩიქოვანი, ვლადიმერ სმირნოვი, თეიმურაზ ლომაია.

II რიგი: დავით ჯანოევი, მერაბ თხელიძე, ნონა გაფრინდაშვილი, მანანა ტოგონიძე, კონსტანტინე პირაევი, იური ვეტოხინი.


სოხუმი

#### 4. დავით ბრონშტეინი –

**მერაბ თხელიძე** (ოსტატობის კანდიდატი)  
ერთდროული თამაშის სეანსი 30 დაფაზე  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.  
თბილისი, 1959 წლის 2 მარტი

სიცილიური დაცვა. სიცილიური შეტევა. **B40**

**1.e4 c5 2.♖f3 e6 3.d4 cxd4 4.♗xd4 ♗f6 5.♗c3 ♗b4  
6.e5 ♗e4 7.♗g4 ♗xc3 8.a3 ♖a5**



**9.axb4**

**9.♗xg7 ♖f8 10.♗d3 ♗c6 11.♗xc6 bxc6 12.♗d2 ♗e7  
13.♗xc3 ♖a4 14.0-0-0 ♖f4+ ±**

**9...♗xe5+**

მახსენდება როცა ეს სვლა გავაკეთე, **ბრონშტეინმა**  
ჩაიცინა და მითხრა, რა უცნაური ახალგაზრდა ხარ,  
ეტლს გთავაზობ, შენ კი პაიკს იღებო

**10.♗e2 f5 11.♖c4 ♗xe2 12.♖xc8+ ♗f7 13.♖xh8**


**♗xc1+ 14.♗d1 ♗b3! 15.cxb3 ♖d4+ 16.♗c1 ♖f4+**

**17.♗b1 ♖e4+ 18.♗a2 ♗c6! 19.♖xa8 ♗xb4+ 20.♗a3**

**♗c2+ 1/2-1/2**

ამ პოზიციაში **ბრონშტეინმა** აყარა ფიგურები, ნაწყენი იყო ამ და ასეთი ყაიმით. ზედამხედველებმა ხელი მტაცეს და დარბაზიდან გარეთ გაგდებას მიპირებდნენ, ეგონათ ეტლი მოვპარე ბრონშტეინს. მან დაუძახა, რას ერჩით მას არაფერი მოუპარავს, მე მენყინა ყაიმით.

**ბრონშტეინმა** ეს ამბავი გაიხსენა შორეულ 1996 წელს **დიდ ბრიტანეთში, ჰასტინგსში**, სადაც მე ვთამაშობდი მსოფლიოს მეორე ჩემპიონატში მოყვარულებს შორის. იქ მოხდა ჩვენი შემდეგი და სამწუხაროდ უკანასკნელი შეხვედრა. მან გაიხსენა თბილისის სეანსის ამბავი, შემდეგ მითხრა: : „შენ აქ ყველაზე ძლიერი ხარ, აუცილებლად პირველ ადგილს დაიკავე, მაგრამ ცოტა ფრთხილად ითამაშე, ყველა პარტიაში შენირვები როგორ შეიძლება“. ვწუხვარ ვერ შევასრულე მისი სიტყვა, მხოლოდ მეორე ადგილი დავიკავე.



**დავით ბრონშტეინი**  
1924-2006

საერთაშორისო დიდოსტატი,  
მსოფლიო ჩემპიონობის  
პრეტენდენტი,  
1951 წელს ითამაშა მატჩი  
მსოფლიოს მაშინდელ  
ჩემპიონთან მიხეილ  
ბოტვინიკთან, რომელიც  
ფრედ 12:12 დამთავრდა

**5. მერაბ თხელიძე (I თანრიგი) – იური ვეტოხინი (ოსტატობის კანდიდატი)**  
 თბილისის ჩემპიონატი მამაკაცებს შორის.  
 თბილისი, 1959

სიცილიური დაცვა. მორას გამბიტი. **B21**

**1.e4 c5 2.d4 cxd4 3.c3 dxc3 4.♖xc3 e6**  
**5.♗f3 ♘b4**

საინტერესო საუბარი შედგა ჩემსა და ვეტოხინს შორის. მან მითხრა: „ვერც თურქესტანიშვილმა, ვერც ბუცხრიკიძემ, ვერც კაკოიშვილმა ითამაშეს შენტან მორას გამბიტი როგორც საჭიროა. ვნახოთ ჩემთან თუ გახდება ამ ვარიანტის თამაშს“. კარგი-მეთქი, დავპირდი.

**6.♙d4 ♗xc3+7.♙xc3!**? ენციკლოპედიიდან მოგვიანებით გავიგე, რომ თეთრებით ეს ვარიანტი დამუშავებული აქვთ იუგოსლავ დიდოსტატებს **მატანოვიჩს, მარიჩს** და სხვებს, რომლებიც აქ თამაშობენ **7.bxc3** დანოლით „d“ ხაზზე. მე კი დაფაზე ვიპოვე და ავირჩიე სხვა გეგმა.

**7...f6**

ან **7...♗f6 8.♗g5 ♗c6 9.♗e5 ♗xe4 10.♗xd8 ♗xc3 11.♗c7 ♗d5 12.♗d6±**

**8.♗d4!?** **a6 9.♗e2** აქ მეჩვენებოდა, რო უნდა არსებობდეს უკეთესი სვლა. მაგრამ ვერ მოვნახე. მოვიდა ზაფხული და როგორც ყოველთვის დასასვენებლად ნავედი კატუშა მამიდასთან ქვედა ზეგანში დასასვენებლად. მდინარე საკრაულაში თევზაობის დროს თავში „დამარტყა“ სვლამ **9.♗f4!** და ტიტველი და ფეხშიშველი გავიქეცი სახლში

ყოველი ტურის შემდეგ პიონერთა სასახლეში მივდიოდი ვახტანგ მასნავლებელთან პარტიების გასარჩევად. სულ მლანძღავდა, ცუდად თამაშობო, განსაკუთრებით მორას გამბიტის შემთხვევაში — შენ ვერ თამაშობ კარგად, შენი მოწინააღმდეგეები კიდევ უარესად გპასუხობენო. დაჯექი მე გეთამაშებიო და სულ მიგებდა.

ჭადრაკისათვის.

**9.♗f4! e5 10.♗f5 d5 11.♗d6+±**


**9...♗e7 10.♗h5+ g6 11.♗f3 0-0 12.♗h6 ♜f7 13.♞d1 ♙e8**

საინტერესოა **13...d5**

**14.0-0**

მახსოვს ეს სვლა რომ გავაკეთე, ავდექი და ჩემს თავს ვუთხარი: თუ ეს პოზიცია შენირულ პაიკად არ ღირს, ჭადრაკის თამაშს თავს დავანებებ-მეთქი.

**14...♗bc6 15.♗b3 ♗e5 16.♗e2 d5 17.f4 ♗5c6**



**18.f5! gxf5!? 19.♗h5 dxe4 20.♙g3+ ♗g6?!**

საჭირო იყო **20...♗h8 21.♗xf7 ♙xf7**

**22.♙c7 ♙g6 23.♞d8+! ♗xd8 24.♙xe7**

**♙xh6 25.♙xd8+ ♗g7 26.♙c1! ♙e3+**

**27.♗h1 ♗g6 28.♙g8+ ♗h6 29.♙f7±**

**21.♗xg6 hxg6 22.♙xg6+ ♗h8 23.♗g7+!**

შავები დანებდნენ (იხ. ცხრილი 7). **1-0**



ვეტოხინი — ბუცხრიკიძის პარტიას უყურებს იური ჩიქოვანი





პიონერთა სასახლის ჭადრაკის სექცია, ელისო კაკაბაძე და ვახტანგ ქარსელაძე

აქ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ჩემი ყველაზე ძველი და ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი, მეგობარი და ჩემი თავგადაკლული საჭადრაკო „მწვრთნელი“ **ჰამლეტ მელაძე**, რომელმაც მე მგონი ჩემზე კარგად იცოდა „ჩემი“ ვარიანტები. მოვიყვან ნაწყვეტს ჩემი ლექსიდან „სადღეგრძელო“, დაწერილს და წარმოთქმულს 2009 წლის 18 ივლისს ჩემი დაბადების 70-ე წლისთავზე:

... და რა დამაკლდა სკოლის შემდეგ მე დემნას ხელი,  
 უნივერსიტეტში გამომიჩნდა მისი შემცვლელი,  
 ძმა და მრჩეველი, ყოველი ჩემი სისულელის  
 ხელის შემშლელი, მფარველი და ჩემი გამგები,  
 დღეს ის აქ არის — ჩემი ჰამლეტი!..

სწორედ **ჰამლეტ მელაძემ** მაჩუქა 1959 წელს წიგნი **Г.Левенфиш, В. Смыслов - Теория ладейных окончаний**. აი რა წაანერა მან წიგნის თავფურცელს:



ევროპის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრი, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, საქართველოს განათლების ეროვნული აკადემიის წევრი

ჩემს მერაზის, დიდ მოჭადრაკეს, ცურისტს, ალპინისტს და კომკავშირულ მუშაკს, ნიშნად მისდამი ღრმა სიყვარულისა და პატივისცემისა.

ჩემო მერაზ, ვისურვებდი იმ ზედნიერ დღეს, როდესაც შემ მსოფლიოს ჩემპიონი გახდებოდა, ჩვენ ერთად ვყოფილიყვით და მერ მომელოოროს ეს ზედნიერება (საჩუქრად ამ წიგნის მეორე ეგზემპლარს მოგიტან).

რაც შეეხება ცურიზმსა და ალპინიზმს, როგორც ყოველთვის, ერთად ვიქნებით და აღწათ ერთად დავიპყრობთ ევერესტს.

მარად შენი „მწვრთნელი“

ჰამლეტი

7 სექტემბერი 1959 წელი  
 ქ.თბილისი, თ.ს.უ.,  
 მექანიკა-მათემატიკის ალკა ბიურო.



ნონა გაფრინდაშვილი და ვახტანგ ქარსელაძე



ნანა ალექსანდრია-რომან ჯინჯიხაშვილის პარტიას  
თვალს ადევნებს ალექსანდრე ბოკუჩავა



შევძელი მომენახა ჩემთვის იმ ბედნიერი დროის რამდენიმე ფოტოსურათი



ცენტრში -  
სხედან:  
დგანან:

ვახტანგ ქარსელაძე მეცადინეობის დროს.  
მანანა ტოგონიძე, ლიანა ხაჭაპურიძე, მერაბ თხელიძე;  
გურამ მაჭავარიანი, კოკა მღებროვი, იდა კამენკოვიჩი, ედუარდ გერსამია,  
მზია ლოლიშვილი, ვლადიმერ კაჭარავა, იური ვეტოხინი



სხედან:  
დგანან:

ვახტანგ ქარსელაძის გაკვეთილი  
მანანა ტოგონიძე, ლევან გაგუა, იური ვეტოხინი, დავით ჯანოევი,  
იდა კამენკოვიჩი, ზურგით რომან ჯინჯისაშვილი;  
მზია ლოლიშვილი, მერაბ თხელიძე, ვლადიმერ სმირნოვი, კოკა მღებროვი,  
გურამ მაჭავარიანი, ლიანა ხაჭაპურიძე, ედუარდ გერსამია

ახალი წლის პირველ დღეებში ჩვენს სასახლეში გაიმართა საქართველოსა და აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი.



საქართველოს და აზერბაიჯანის ახალგაზრდული გუნდები.

მოსწავლეთა სასახლის აივანთან ბოლო რიგში დგანან: ვახტანგ ქარსელაძე და შოთა ინ-  
წკირველი.

პირველ კიბეზეა მერაბ თხელიძე, მეორე რიგში: მზია ლოლიშვილი, იდა კამენკოვიჩი,  
მარინა სტატნიკოვა, ნელი მაღლაკელიძე.



სხედან: იური ჩიქოვანი, ჰენრიხ არნშტეინი, ნიკოლოზ სოროკინი, თამაზ კიკიანი, იური ვეტოხინი, გარი ბუცხრიკიძე;  
 დგანან: ელგუჯა აბრამიძე, მერაბ თხელიძე, ანზორ ხელაშვილი, გივი გამრეკელი, არჩილ წერეთელი, უცნობი, უცნობი, დავით ჯანოევი



პიონერთა სასახლის პირველი და მეორე თაობის ნიჭიერი და კოლორიტული ფიგურები: ჰენრიხ არნშტეინი და მერაბ თხელიძე

1957 წელს თბილისის ვაჟთა ჩემპიონატში **ალექსანდრე იზვოზნიკოვმა** მეორე ადგილი დაიკავა. მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს **გივი გამრეკელმა** და **დავით ჯანოევმა**.



**ალექსანდრე იზვოზნიკოვი, მერაბ თხელიძე**

ამ ფოტოსურათზე აღნიშნულია ჩემი მეგობრისა, კოლეგისა და ჭადრაკის თეორიული თანამოაზრის ალექსანდრე (შურიკა) იზვოზნიკოვის და ჩემი შეხვედრის მომენტი. ჩვენ ყოველდღე ერთად ვიყავით, ერთად ვქმნიდით თეორიულ ვარიანტებს. ის პრაქტიკაში ამომწმებდა ამ ვარიანტებს, ერთად დავდიოდით სანადიროდ, მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ. ერთ დღესაც ვერ ვძლებდით უერთმანეთოდ. ის ხან ჩემთან იყო, ხან მე ვიყავი მის ოჯახში და ეს გრძელდებოდა, სანამ უკურნებელმა სენმა არ წამართვა მისი თავი.

ეჰ, შურიკ, შურიკ, გახსოვს როგორ მეძახდი: Красовец, Красовец.

1955 წელს რიგაში გამართულ სსრ კავშირის მოსწავლეთა გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა II ადგილი დაიკავა. ნაკრების 12 წევრიდან 10 სასახლის მოსწავლე იყო: **გურამ მაჭავარიანი**, **იური ვეტოხინი**, **გურამ კალატოზიშვილი**, **დავით ჯანოევი**, **ვლადიმერ სმირნოვი**, **ვლადიმერ კაჭარავა**, **მერაბ თხელიძე**, **მანანა ტოგონიძე** (დაფაზე I-II ადგილი), **ნონა გაფრინდაშვილი** (დაფაზე I ადგილი), **მარინა სტატნიკოვა** (დაფაზე I-IV ადგილი), აგრეთვე **თეიმურაზ ლომაია** და **გულნარა ბუცხრიკიძე** (ქუთაისი).



I რიგი: ნონა გაფრინდაშვილი,  
მანანა ტოგონიძე, უცნობი;  
II რიგი: ვლადიმერ სმირნოვი, მერაბ თხელიძე,  
თეიმურაზ ლომაია, ვლადიმერ კაჭარავა



ამხანაგური მატჩი საქართველოს და სომხეთის მოსწავლეთა გუნდებს შორის  
მარჯვნიდან პირველი — მერაბ თხელიძე

## თავი 2. გზა ოსტატობისკენ (1959-1963)

1956-1959 წლებში ჩემს ოჯახში სამწუხარო ამბები დატრიალდა. 1956 წლის 5 ივნისს გარდაიცვალა **ალექსანდრე ბაბუა**, ხოლო 1959 წლის 7 სექტემბერს — ჩემი ცხოვრების უპირველესი ადამიანი — **დედაჩემი თამარი**. მამამ მალევე მოიყვანა ცოლი და რადგან მე და ჩემმა დამ ვერ შევძელით, რომ სხვა ქალს ეცხოვრა ჩვენთან ერთად ერთოთახიან 20 კვ. მ. კომუნალურ ბინაში, რომელშიც ყველა ნივთს დედაჩემის სურნელი ასდიოდა, გადავიდა საცხოვრებლად ცოლთან. დაგვტოვა ჩვენ უსახსროდ და ულუკმაპუროდ. ამით მან დაგვსაჯა მე და ჩემი ცხრა წლის და მარინა. ალბათ ფიქრობდა მოშივდებათ და თვითონ შემეხვეწებინა - დაგვიბრუნდით. მე დედულეთში არცერთხელ არ ვყოფილვარ, იქაურ ნათესავებს არ ვიცნობდი, ყოველ ზაფხულს იმერეთში, მამაჩემის სამშობლოში, **მეორე ობჩაში** და მამიდაჩემის, ჩემი დედობილის ეკატერინეს (კატუშა) ქმრის **პავლე გუმბერიძის**, რომელიც ჩემი ნათლიაც გახდა, სოფელში **ქვედა ზეგანში** ვატარებდი. ძალიან ვუყვარდი ბიძია **დიმიტრის** და **ოლია**, **თამარ** და **ნინო** მამიდეებს, მაგრამ როგორ გინდა იქიდან უპატრონო თბილისში ბავშვებს. და აი აქ, მე, დედაჩემის მიერ ნალოლიავებ და



სოფელი მეორე ობჩა.

მარცხნიდან: შამილი, მერაბი, რეზო, მაგული, კატუშა მამიდა, ჩემი დისშვილი ლევანი, ჩემი და მარინა და თინა ბიცოლა

განებივრებულ ბავშვს, რომელსაც არასდროს პურიც კი არ უყიდა, კვერცხ-იცი კი არ მოუხარშავს, რაღაც დამემართა. მე ვიგრძენი თუ მივხვდი, რომ უნდა ვისწავლო დამოუკიდებლად ცხოვრება, დის მოვლა, არავის იმედი არ უნდა მქონდეს, რადგან **ჩემს უკან მხოლოდ ღმერთია** და ასე ვცხოვრობ დღემდე.

მაგრამ თურმე არც მთლად ეგრეა საქმე. ირგვლივ უამრავი კარგი ადამიანი მახვევია. თქვენთვის ალბათ გასაგებია, როგორი თავგანწირვით ვსწავლობდი უნივერსიტეტში, რომ ერთ-ერთი პირველი სტუდენტი ვყოფილიყავი. წითელი დიპლომით დავამთავრე უნივერსიტეტი და სწავლა გავაგრძელე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ასპირანტურაში. ჩემმა მწვრთნელმა **ვიქტორ გოგლიძემ** (1905-1964) თავის საჭადრაკო სკოლაში მწვრთნელად დამაწყებინა მუშაობა. დედაჩემის მეგობარი **ივანე ჯანოევი**, რომელიც ჩემი უახლოესი მეგობრის **დავით ჯანოევის** მამაა, სხვადასხვა საბაბით მიბარებდა თავისთან სახლში კრილოვის ქუჩა №9-ში, კვირაში სამჯერ, ვითომ პოკერის საიდუმლოებებს გასწავლიო და მოითხოვდა ჯერ ერთად გვესადილა. აბა მერაბის წითელი და შავი ხიზილალა, ნაირნაირი ძეხვეულები და სხვა სასუსნავები. ასეთი კაცი იყო **ივანე ჯანოევი**.

იძულებული გაგხდი ჩემი და მარინა სკოლა-ინტერნატში მიმეყვანა და აქ ცხოვრებაში მეორეჯერ გამიღიმა ბედმა: **კომაროვის** სახელობის მათემატიკური სკოლა-ინტერნატის სკოლის დამაარსებელი და დირექტორი **ვარლამ ნიკოლოზის-ძე მელაძე**, ჩემი უახლოესი მეგობრის და კოლეგის **ჰამლეტ მელაძის** მამა აღმოჩნდა. ბატონი ვარლამი მომავალში მიმიწვევს სკოლა-ინტერნატში სამუშაოდ მასთან მენწყვილედ მათემატიკის მასწავლებლად და გახდება ჩემი ცხოვრების მასწავლებელი და უფროსი მეგობარი.

მთელი ცხოვრების მანძილზე გამეყვინნ და შემომრჩინნ მეგობრები: სკოლიდან — **დემნა ცხაკაია**, **ოთარ ქიზიყელაშვილი**, **რუსლან რუხაძე**, **ზაზა ჩაჩანიძე**, **თამაზ სანებლიძე**, **თამაზ ბუღაძე**, **გურჯი ფხალაძე**. ჭადრაკიდან — **ალექსანდრე იზვოზჩიკოვი**, **დავით ჯანოევი**, **თემურ ჯახუტაშვილი**, **გურამ ჭანტურია**, **ანზორ ხელაშვილი**, **თამაზ კიკიანი**, **ალეკო ბოკუჩავა**, **თამაზ გიორგაძე**, **თეიმურაზ ლომაია**, **ემილ მიქაელიანი**. უნივერსიტეტიდან — **ჰამლეტ მელაძე**, **ომარ შეშელიძე**, **ბაია ოქრუაშვილი**, **ჯონსი უკლება**, **ლერი არცივაძე**, **მერაბ ობოლაძე**, **ანზორ ბერძენიშვილი**, **თინა ჟორჟოლაძე**, **ჯემალ ფერაძე**, **ვაჟა შარაშიძე**. ვასწრებ ჩოგბურთის თამაშს, კარტის თამაშს - არაუშავს დავეუფლე პრეფერანსს, კინგს, პოკერს. გავიცანი შესანიშნავი ადამიანი და უძლიერესი პოკერისტი **ვლადიმერ ლევანის-ძე არუთინოვი**, რომელთანაც სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით შეიძლებოდა მცირე ფულზე პოკერის თამაში. აქაც შევიძინე რამდენიმე მეგობარი. მათ შორის გამორჩეული, რა თქმა უნდა, **ვლადიმერ ლევანის-ძე** იყო, რომელიც დამიმეგობრდა, ცხოვრებისეულ მრავალ საქმეში დამეხმარა და ყველაფერთან ერთად მასწავლა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, პოკერის თამაში.

**ვლადიმერ ლევანის-ძე** ძალიან გავლენიანი პიროვნება იყო, უშიშროების სამსახურის პოლკოვნიკი. მე მის შვილებს ვეხმარებოდი მათემატიკაში და შესანიშნავი შედეგები მივიღეთ. მან მასწავლა არა მარტო პოკერის თამაში, არამედ ცხოვრებაში არ დანებება, გზიდან არ გადახვევა, ამიტომ ის დღეები, რაც მის ოჯახში პოკერის თამაშში გავატარე, ჩემთვის იყო ცხოვრების გაკვეთილები, სადაც მე ხშირად ვიგებდი სახარჯო ფულს, ვეთიშებოდი რთულ ყოველდღიურობას და ვბრუნდები უკან ცხოვრებაში ბრძოლისა და გამარჯვებისათვის.

ერთის მხრივ, ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე, აქტიური კომკავშირული მუშაკი, წარმატებული მოჭადრაკე და მეორეს მხრივ, კრიმინალების მეგობარი და თბილისის ერთ-ერთი უძლიერესი პოკერისტი, ალბათ ძალიან საინტერესო პარადოქსია. ადვილი მისახვედრია იმ წლებში რა დაძაბული ცხოვრების რიტმით ვცხოვრობდი, თუმცა ვცდილობდი გამომენახა დრო ჭადრაკის თამაშისათვისაც. ამან მიბიძგა შემექმნა „ჩემი“ სადებიუტო თეორია, უფრო ზუსტად **ანტითეორია დასწრებაზე**, რომელიც უდიდეს ძალისხმევას, კომბინაციურ ხედვას და გათვლების სიზუსტეს მოითხოვდა.

1963-1966 წლებში ვსწავლობდი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ასპირანტურაში. ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო გამოთვლითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი **დავით კვესელავა**, არაჩვეულებრივი პიროვნება, გულისხმიერი, გულკეთილი ადამიანი, ძლიერი მოჭადრაკე და ჩემი მამობილი.

კიდევ ერთი არაჩვეულებრივი ადამიანი არის ჩემს ცხოვრებაში — **ეკატერინე მამიდა**, ორი წლიდან ჩემი ძიძა და „საზაფხულო“ დედა, დედის გარდაცვალების შემდეგ ჩემი დედა, მფარველი და ჭკუის დამრიგებელი. დღეს, 2018 წელს ის 94 წლისაა, სოფელ ქვედა ზეგანში ცხოვრობს და ცდილობს რამე შემაგნებინოს, მაგრამ დღესაც არაფერი გამოსდის.



**კატუშა მამიდა, დედაჩემი და მე**





**ლილი ნეროძე** - თბილისის ჭადრაკის კლუბის (1967-1973) და ჭადრაკის სასახლის (1973-1985) დირექტორი. საქართველოს ფიზკულტურის და სპორტის დამსახურებული მოღვაწე (1987). საერთაშორისო არბიტრი (1970). 1947 და 1950 წელს მოხვდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატის პირველ ხუთეულში.

**6. დოროშკევიჩი** (გროზნო, ოსტატობის კანდიდატი) - **მერაბ თხელიძე** (თბილისი, I თანრიგი)  
ნსს „ქარიშხალა“-ს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი  
თბილისი, 1961


ორი მხედრის დაცვა. **C55**

**1.♖f3 ♗c6 2.e4 e5 3.d4 exd4 4.♗c4 ♖f6 5.0-0 ♗c5 6.e5 ♗g4 7.♗f4 d6 8.exd6 ♗xd6 9.♖e1+ ♗f8 10.♗xd6+ ♗xd6 11.c3** **12.♗xe5 ♗xe5 13.♖e2 f6 14.cxd4 ♗xd4 15.♗d1 ♖b6 16.♗d8+**

ტურნირის დაწყების ბოლო მომენტში გაირკვა, რომ მე-18 მონაწილე არ ჩამოვა და ჭადრაკის კლუბის დირექტორმა **ლილი ნეროძემ**, შესანიშნავმა ადამიანმა, ისეთივე ლამაზმა, როგორიც მისი და, გამოჩენილი არტისტი **დუდუსანა ნეროძე** და ჩემმა დიდმა გულმემატკივარმა, სთხოვა ნსს „ქარიშხალას“ საკავშირო გამგეობის წევრს **იოსებ დავითის-ძე ბერეზინს**, რომელიც თვითონაც მონაწილეობდა ამ ტურნირში, დავეშვით მე. წარმადგინა როგორც ნიჭიერი პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე. ასე მოვხვდი ამ ტურნირში.

**11. ... ♗ce5**

ენციკლოპედიაში გვაქვს **11...♖c5 12.♗bd2 d3 13.♗d4 ♗xd4 14.cxd4 ♗xd4 15.♖f3 ♖f6 16.♖g3!±;**  
ან **11...dxc3 12.♗xc3±; 11...♗f5 12.cxd4±**  
როსოლიმო-ო,კელი, 1949



**16...♗e7 17.♗d5**

თუ **17.♖xh8 ♗g4 18.♖c2 ♖xh8± 17...♗e6 18.♗c3**  
თუ **18.♖xe5 fxe5 19.♖xe5 ♖ae8± 18...♗xc4 19.♖xc4 ♗f8 20.♖e1 c6 21.♖xe6 cxd5 22.♖xd5 ♖e8 23.♖xe8+ ♗xe8 24.h4 ♖c6 25.♖d4 b6 26.h5 ♗f7 27.♖d3 ♖e8 28.♖xh7 ♖e1+ 29.♗h2 ♖d6+ 30.♗h3 ♖f4** თეთრები დანებდნენ **0-1**

**დოროშკევიჩმა** პირველი-მეორე ადგილები გაიყო, ხოლო მე გავიყავი მეექვსე-მეშვიდე ადგილები და 17-დან 10,5 ქულით შევასრულე ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატის ნორმა. მოხდა საინტერესო ფაქტი: იმავე დღეებში საქართველოს სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილებამ ბოლო წლებში წარმატებული თამაშისათვის მომანიჭა ოსტატობის კანდიდატის ნოდება. ასე ვავხდი ერთ დღეში ორგზის ოსტატობის კანდიდატი! (იხ. ცხრილი 8).

1997 წლის 30 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში ჟურნალისტმა თენგიზ გიორგაძემ გამოაქვეყნა სტატია „ბოტვინიკის პირველი სტუმრობა თბილისში“. გთავაზობთ ამ სტატიას.


## ბოტვინიკის პირველი სტუმრობა თბილისში

1961 წლის 5 სექტემბერს მიხეილ ბოტვინიკი პირველად ჩამოვიდა თბილისში. მას თან ახლდა დიდოსტატი სალო ფლორი. ვიდრე გვენგეოდნენ, ისინი ბაქოსა და ერევანში იყვნენ.

საზღვარზე, წითელ ხიდთან, სტუმრებს დახვდნენ ქართველი მოჭადრაკეები - ვიქტორ გოგლიძე, ბუხუტი გურგენიძე, ლილი წეროძე და სხვები.

სტუმრები ხუთ დღეს დარჩნენ თბილისში. ისინი შეხვდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ქართული სპორტის მესვეურებს და მოჭადრაკეებს.

იმ დროს უკვე მზად იყო თბილისის ჭადრაკის სასახლის პროექტი, მაგრამ მშენებლობის საწყისსათვის საჭირო საკავშირო მთავრობის ნებართვა. მაშინ იკრძალებოდა მსგავსი ნაგებობის მშენებლობა. ეს რომ ბოტვინიკს უამბეს, მან დახმარება აღუთქვა მასპინძლებს და კიდევ შეასრულა დაპირება.



მიხეილ ბოტვინიკის ერთდროული თამაშის სეანსი საათებით.

მარცხნიდან: გურამ მაჭავარიანი, თეიმურაზ ლომაია, ალექსანდრე იზვოზნიკოვი, მერაბ თხელიძე, დავით ჯანოევი და მანანა ტოგონიძე.

ზურგით სხედან: მარცხნიდან - გოგი ეგიაშვილი და რომან ჯინჯიხაშვილი.

- გასაკვირია, მაგრამ ფაქტია: თბილისში პირველად ვარ. ძალიან მომეწონა თქვენი უბერებელი დედაქალაქი. ვნახე მთაწმინდის პანთეონი, ვიყავი ფუნიკულიორზე, დავესწარი კალათბურთელთა ასპარეზობას თქვენს დიდებულ სპორტის სასახლეში, - ჰყვებოდა ბოტვინიკი საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას, რომელსაც მე ვუძღვებოდი.

ბოტვინიკმა ილაპარაკა მიხეილ ტალთან მატჩ-რევეანშზე. დაახასიათა განვლილი უმძაფრესი ბრძოლა და ტალის თამაში. იგი ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებასაც შეეხო. თქვა, რომ საჭიროა ახალი ჭადრაკის კლუბის მშენებლობა და საკუთარი საჭადრაკო ჟურნალის დაარსება.

სტუმრებთან ეს ტელეინტერვიუ იმითაც დამამახსოვრდა, რომ ერთ მომენტში ბოტვინიკმა გონებამახვილურად მიხსნა „გაჭირვებიდან“.

სტუმრების წარდგენისას, ტელემყურებლებს ფლორის „თბილისელობაზე“ ვუამბე, რომ მან 1942 წელს მიიღო საბჭოთა მოქალაქის პასპორტი. შემდგომ საუბარში ფლორს ვკითხე: - რატომ არ წერთ-მეთქი მოგონებებს, თქვენ ხომ კარგად იცნობდით ლასკერს, ალიოხინს, კაპაბლანკას და სხვა გამოჩენილ დიდოსტატებს. მან გაკვირვებული კაცის სახე მიიღო, გამიღიმა და მკითხა: - რომელ მოგონებებზე ბრძანებით. ახლა არ თქვით, რომ მე „დავიბადე“ 1942 წელს, ჰოდა 19 წლის ყმანვილმა რა მოგონებები უნდა დავწერო? ფლორი



## თენგიზ გიორგაძე

დაიბადა 1925 წლის 1 აპრილს ქ. თბილისში.  
გარდაიცვალა 2012 წლის 20 თებერვალს.  
1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
1994, 1996, 1998 წლებში იყო მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მსაჯი;  
1950-1984 გაზეთ „ლელოს“ ჭადრაკის განყოფილების გამგე;  
1984-1987 საჭადრაკო გაზეთ „მერანის“ პირველი რედაქტორი;  
1997-2000 ყოველთვიურ ჟურნალ „ჭადრაკის სამყაროს“ მთავარი რედაქტორი;  
1968-1996 საქტელეჭადრაკის ჟურნალ „სამორინეს“ წამყვანი და ავტორი;  
1977 წლიდან საქართველოს ფიზალზრდისა და

სპორტის აკადემიის პედაგოგი და ერთ-ერთი დამაარსებელი;  
გამოცემული აქვს 50-მდე წიგნი, მათ შორის: „ქართული ჭადრაკის მატჩიანი“ (სამტომეული (1995, 1997, 2000); მონოგრაფიები: „თამაშობს ანდრია დადიანი“ (1972), „ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა“ (1985), „ჩვენი ნონა“ (1992); მოჭადრაკე, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (2004), პროფესორი (2005), საჭადრაკო მიმომხილველი, ლიტერატორი და ისტორიკოსი.

ხუმრობდა. მე კი ვერ მოვახერხე პასუხი. ეს რომ ბოტვინიკმა იგრძნო, ფლორს უთხრა: - სალო, როგორ ვერ მიხვდი რას გეკითხება თენგიზი: რატომ არ სწერ მოგონებებს, შენს დაბადებამდე რომ გინახავსო...

დიდი ინტერესი გამოიწვია ბოტვინიკის შეხვედრამ ახალგაზრდა თბილისელ მოჭადრაკეებთან: მსოფლიო ჩემპიონმა ერთდროული თამაშის სეანსი (საათებით) გამართა 8 დაფაზე. ეს მოხდა 9 სექტემბერს რუსთაველის თეატრის სცენაზე. სეანსს დიდძალი გულშემატკივარი დაესწრო. მათთვის პარტიების დემონსტრაციაც მოეწყო, რაც იშვიათობა იყო მსგავსი „სპექტაკლის“ ისტორიაში.

ხუთსაათიან ბრძოლაში ჩემპიონს მოუგეს რომან ჯინჯიხაშვილმა და მერაბ თხელიძემ, ხოლო გოგი ეგიაშვილმა და დავით ჯანოევმა ყაიმს მიაღწიეს. დანარჩენები (თეიმურაზ ლომია, გურამ მაჭავარიანი, ალექსანდრე იზვოზნიკოვი და მანანა ტოგონიძე) დამარცხდნენ.

აი როგორ დაამარცხა მერაბ თხელიძემ მიხეილ ბოტვინიკი

**7. მერაბ თხელიძე (I თანრიგი) - მიხეილ ბოტვინიკი (მსოფლიო მეექვსე ჩემპიონი)**

ერთდროული თამაშის სეანსი საათებით რვა დაფაზე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან.

თბილისი, 1961წლის 9 სექტემბერი.

შედეგი 5-3 (+4, =2, -2) ბოტვინიკის სასარგებლოდ.

სიცილიური დაცვა. მორას მიუღებელი გამბიტი. **B21**

**1.e4 c5 2.d4 cxd4 3.c3 d3 4.♗xd3 ♖c6 5.♖f3**

თეორია გვირჩევს:

**5.c4 ♗f6 6.♗c3 d6 7.h3 g6 8.♗f3 ♗g7 9.0-0 ♗d7 10.♗e3 ♗c5** და ა.შ.,

მაგრამ მე „ჩემი“ ვარიანტი მაქვს


**5...g6 6.0-0 ♗g7 7.♗c4 d6 8.♗a3 a6 9.♗e1 ♗f6 10.e5 dxe5**

**11.♗xd8+ ♗xd8 12.♗xe5 ♗e6 13.♗e3 ♗c8 14.♗ad1 ♗e4**

სხვა გაგრძელებებია:

14...0-0 15.♗b6±;

14...b5 15.♗xe6 ♗xe6 16.♗c2 ♗e4 17.♗d7 ♗c7±



15.♟b6! ♚d6 16.♟b3 ♟xb3 17.axb3 ♚e6


♜6 17...0-0 18.♚ec4 ♚xc4 19.♚xc4±

18.♚ac4 ♚xc4 19.♚xc4 ♜c6

♜6 19...0-0 20.♞d7±

20.♞d3 f5 21.f3 ♟f6 22.g3 h5 23.♟f2 ♚f7 24.♚a5 ♜c7 25.♟b6 ♜cc8

26.♞d7 h4 27.♚c4! ♜c6 28.♞xb7 hxg3 29.hxg3 f4 30.gxf4 ♞h3 31.♞e3 ♚xf4



32.♞bxe7+! ♟xe7 33.♚e5+ ♚g8 34.♚xc6 ♟h4 35.♟c7 ♟g5 36.♟xf4 ♟xf4 37.♞d3 g5

38.♚e7+ ♚f7 39.♚d5 ♟e5 40.♞e3 ♟d6 41.b4 a5 42.bxa5 ♟c5 43.♚g2 1-0

აქ მოხდა დაუფერებელი რამ. განერვიულებულმა ბოტვინიკმა აყარა ფიგურები, ფაქტიურად სახეში შემომაყარა ისინი ... მაგრამ მალევე მოეგო გონს, სცენაზე დამაყენა თავის გვერდით დარუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზის სცენიდან შეკრებილ მაყურებლებს, რომელთა ტევა არ იყო დარბაზში, მოუყვა სეანსის შედეგების შესახებ. განსაკუთრებით ჩემი კარგი თამაში გამოყო. დარბაზში სხვებთან ერთად სპორტის მინისტრი გიორგი სიხარულიძეც იყო და მე, როგორც შემდეგ ხუმრობით ვამბობდი, ბოტვინიკს ჩემი ქება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მინისტრმა სტიპენდია დამინიშნა. ისე სიამაყით მინდა ვთქვა, რომ მიხეილ მოსეს-ძე ბოტვინიკი სიკვდილამდე არ მაკლებდა ყურადღებას და კეთილმზრუნველობას. დიდი მადლობა მას ამისთვის!


მეორე დღეს ბოტვინიკმა ლექცია წაიკითხა თბილისის უნივერსიტეტში („ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის, მატჩ-რევანში ტალთან“), ხოლო ფლორმა სტუდენტებს ერთდროული თამაშის სეანსი გაუმართა 30 დაფაზე.

იმავე საღამოს ბოტვინიკი და ფლორი სოხუმს გაემგზავრნენ. - არასოდეს დამავინყდება თბილისელების მასპინძლობა, ვეცდები კიდევ გენვიოთ, - გვითხრა გამოთხოვებისას მსოფლიო ჩემპიონმა.

შემდგომ მიხეილ ბოტვინიკი კიდევ სამჯერ (1963, 1971, 1975 წ.წ.) იყო თბილისის სტუმარი.

თქვენი გიორგაძე

**გენადი სოსონკო** დაიბადა 1943 წლის 18 მაისს ქ. ტროიცკში (ჩელიაბინსკის ოლქი, საბჭოთა კავშირი). საბჭოთა, შემდეგში ჰოლანდიელი დიდოსტატი 1976 წლიდან, მწერალი, ჟურნალისტი. 2004 წლიდან არის ფიდეს დამსახურებული მწვრთნელი



**8. მერაბ თხელიძე** (თბილისი, ოსტატობის კანდიდატი) - **გენადი სოსონკო** (ლენინგრადი, ოსტატობის კანდიდატი) ნსს „ქარიშხალა“-ს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი ლენინგრადი, 1962

